

**საკრედიტო და თავდებობის ერთობლივი ხელშეკრულება #-ის
მნიშვნელოვანი პირობები**

----- 2022 წელი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი:

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი-;
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი - %;
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - %;

ფინანსური ხარჯები

- ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი,თანდართული გრაფიკის შესაბამისად) -ლარი;
- ვადის ბოლოს შენატანი- ლარი
- დაზღვევის ღირებულება - ლარი;
- კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი: ლარი;

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა:--ლარი;
- მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა: ლარი;
- კრედიტის ვადა: თვე;
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა:--;
- სსხის გაცემა ხდება ამ ხელშეკრულების ლიმიტის, ----- ლარის ფარგლებში, რომელიც მოქმედებს ----- ვადით. გთხოვთ თავდებმა, როგორც სოლიდარულად პასუხისმგებელმა პირმა, გაითვალისწინოთ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემო აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში მსესხებელზე დამატებით კრედიტის გაცემის/სესხის რესტრუქტურირების შემთხვევაში, კრედიტის გაცემაზე/სესხის რესტრუქტურირებაზე თქვენი დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და თქვენი თავდებობა გავრცელდება ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაცემულ ყველა კრედიტზე/სესხის რესტრუქტურირებაზე;

▪ სესხის წინასწარი დაფარვის საკომისიო:

ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვე-0%; ბ) 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-სა; გ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-სა; დ)თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-სა;

▪ ვადაგადაცილების ჯარიმა:

კრედიტორი უფლებამოსილია მსესხებელს დააკისროს პირგასამტეხლო (სრულად/ნაწილობრივ/ან სრულად აპატიოს) თანდართული სესხის დაფარვის გრაფიკით დადგენილი ვადების დარღვევისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე : ა) სესხის გადახდის გრაფიკით გადასახდელი ძირითადი თანხის დავალიანებაზე: მიმდინარე ძირითადი სესხის თანხის 0.13% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; ბ) სესხის გადახდის გრაფიკით გადასახდელი პროცენტის დავალიანებაზე: მიმდინარე ძირითადი სესხის თანხის 0.13 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%, ამასთან ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ

აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური ოდენობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას;

▪ ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში-არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/მოკლე ტექტური შეტყობინებით.

▪ საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა პირობების ცალმხრივი ცვლილების შემთხვევაში მომხმარებლის (მსესხებ(ლებს)ელს) ინფორმირება მოხდება წერილობით / ელექტრონული ფოსტით / მოკლე ტესქსტური შეტყობინებით/სატელეფონო შეტყობინებით ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე და/ან ტელეფონის ნომრებზე მინიმუმ ერთი თვით ადრე;

▪ მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია შპს მისო კრედექსიში ოფის-მენეჯერებთან ან იურისტებთან ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარდარტული წერილობითი ფორმით შპს მისო კრედექსის სერვისცენტრებში შემდეგ მისამართებზე: თბილისი, ჭაბუკიანის ქ. #7; თბილისი, ხიზანიშვილის ან ელექტრონული ფორმით შემდეგ ელ მისამართზე: info@credex.com.ge .

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

საკრედიტო და თავდებობის ერთობლივი ხელშეკრულება

თბილისი

----- 2022 წელი

1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები:

„მისო“, „მსესხებელ(ებ)ი“ და თავდებ(ებ)ი ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია „კრედიტორის“ მიერ „მსესხებლისთვის“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სასყიდლიანი კრედიტის მიცემა სესხის ფორმით, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას დააბრუნოს მიღებული კრედიტი, გადაიხადოს დარიცხული საპროცენტო სარგებელი/საკომისიო/პირგასამტეხლო/ჯარიმა (არსებობის შემთხვევაში) და მხარეებმა შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები მთელი მოცულობით.

3. კრედიტის ძირითადი პირობები:

- 3.1 სამომხმარებლო კრედიტის მთლიანი თანხის:
ოდენობა:
- 3.2 მსესხებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის
ოდენობა:
- 3.3 კრედიტის მთლიანი თანხიდან ფინანსური
ხარჯების გამოკლებით დარჩენილი გასატანი
(ხელზე მისაღები) თანხის ოდენობა:
- 3.4 საპროცენტო განაკვეთის ტიპი:
- 3.5 კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი:
- 3.6 კრედიტის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი:
- 3.7 კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო
განაკვეთი:
- 3.8 კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული
გადასახდელი (საკომისიო):
- 3.9 სესხის წინასწარი დაფარვის საკო მისიო:

ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვე-0%; ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-სა;გ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-სა;დ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-სა

- 3.10 პირგასამტეხლო თანდართული სესხის დაფარვის გრაფიკით დადგენილი ვადების (და/ან ამ ხელშეკრულებით დადგენილი სხვა ვალდებულებების) დარღვევისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (კრედიტორი უფლებამოსილია დააკისროს სრულად/ნაწილობრ ივ/ან სრულად აპატიოს):

ა) სესხის გადახდის გრაფიკით გადასახდელი ძირითადი თანხის დავალიანებაზე: მიმდინარე ძირითადი სესხის თანხის 0.13% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; ბ) სესხის გადახდის გრაფიკით გადასახდელი პროცენტის დავალიანებაზე: მიმდინარე ძირითადი სესხის თანხის 0.13 % ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%, ამასთან ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების

ჯამური ოდენობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას;

- 3.11 კრედიტის ვადა:
- 3.12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა:
- 3.13 კრედიტის დაფარვის თარიღი:
- 3.12 კრედიტის მიზნობრიობა:
- 3.14 საშელავათო პერიოდი:

4. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში გათვალისწინებული ფინანსური ხარჯები:

- 4.1 კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი (საკომისიო):
- 4.2 ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი, თანდართული გრაფიკის შესაბამისად):
- 4.3 ვადის ბოლოს შენატანი:

5. კრედიტის გაცემის, დაფარვის და საპროცენტო სარგებლის გადახდის წესი:

5.1 კრედიტი გაიცემა --- ტრანშად ამ ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერისა და სათანადო წესით დამოწმების შემდეგ.

ტრანში- ლარი, მიზნობრიობა: --

ყოველი შემდგომი ტრანში გაიცემა მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება პირველი ტრანშით შესრულებული მიზნობრიობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მიზნობრიობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენილობა გამორიცხავს მის შემდგომი ტრანშის გაცემას. ამავე დროს კრედიტორი უფლებამოსილია მიზნობრიობის შეუსრულებლობიდან გამომდინარე, მოითხოვოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა და უკვე გაცემული ტრანშის უკან დაბრუნება.

5.2 მსესხებელ(ებ)ი ვალდებულია კრედიტი და მასზე დარიცხული სარგებელი დაფაროს ყოველთვიურად, თანდართული გრაფიკის შესაბამისად. სესხის დაფარვის გრაფიკი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს;

5.3 საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ფაქტობრივად ათვისებული (გაცემული) თანხის ოდენობას.

5.4 თუ მსესხებელ(ებ)ი კრედიტორთან შეთანხმების გარეშე, წინასწარ, სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე შეიტანს თანხას კრედიტორის (მისოს) საბანკო ანგარიშზე, მისო არ განახორციელებს სესხის ძირის და დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაფარვას მისი წერილობითი ან სიტყვიერი თანხმობის გარეშე, ხოლო შემოტანილი თანხის ნაშთზე არ დაარიცხავს საპროცენტო სარგებელს.

5.5 მხარეთა შეთანხმებით სესხის გაცემა მოხდება --ზე მისოს საბანკო ჩეკის მეშვეობით სს თიბისი ბანკის ნებისმიერი ფილიალიდან, ან გასავლის ორდერით მისოს ნებისმიერი ფილიალიდან, ან მის პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით: სს -- ბანკი ა/ა --;

5.6 კრედიტის და საპროცენტო სარგებლის დაფარვა განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით ამ ხელშეკრულებაზე თანდართული სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში კრედიტორის (მისოს) შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით: --- სესხის დაფარვის გრაფიკი ყველა შემთხვევაში და ცალსახად წარმოადგენს ამ ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს ამ ხელშეკრულებასთან ერთად მსესხებლის (თავდების) მიერ ვალდებულებათა სრულად შესრულებამდე. მსესხებლის და კრედიტორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია სესხის რესტრუქტურისა, ასევე სესხის დაფარვის გრაფიკით განსაზღვრული სესხის დაფარვის ვადისა და პირობების შეცვლა ამ ხელშეკრულების 3.12 პუნქტით დადგენილ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. ასეთ შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული სესხის დაფარვის გრაფიკი ჩაითვლება გაუქმებულად და მის ნაცლად ამოქმედდება ახალი გრაფიკი. ამ ტიპის გარიგებები (სესხის რესტრუქტურისა, სესხის დაფარვის ვადის შეცვლა, და ა. შ) არ საჭიროებენ თავდების წერილობით თანხმობას და სანოტარო წესით დამოწმებას და ისინი წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

5.7 კრედიტის დაფარვის თანმიმდევრობა შემდეგია: პირველ რიგში იფარება პირგასამტეხლო (დარიცხვის შემთხვევაში), შემდეგ პროცენტი და ბოლოს კრედიტის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს მისთვის შეხედულებისამებრ.

5.8 საპროცენტო სარგებელი იანგარიშება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით.

5.9 ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, როდესაც მსესხებლის ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, კრედიტორი მსესხებელს აძლევს ამ ვალდებულებების დაფარვის რიგითობის არჩევის საშუალებას უშუალოდ ასეთი ვალდებულების დადგომისას ამავე ხელშეკრულების 1-ლ პუნქტში მითითებულ მსესხებლის ტელეფონის ნომერზე ესემეს და/ან სატელეფონო შეტყობინების საშუალებით სადაც მსესხებელი ვალდებულია მყისიერად დააფიქსიროს თავისი ნება ესემეს/სატელეფონო საშუალებით, ან კრედიტორთან წერილობით წარმოდგენილი განცხადების ფორმით. რიგითობის არჩევის გამოხატვა მსესხებელმა უნდა მოახდინოს არაუგვიანეს კრედიტორის მიერ, ამ მუხლთ დადგენილი ფორმით შეთავაზების გაკეთებიდან ერთი დღის ვადაში.

5.10 მსესხებელ(ებ)ი უფლებამოსილია კრედიტი დაფაროს ვადაზე ადრე ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში მსესხებელ(ებ)ი ფარავს იმ დროისათვის არსებულ კრედიტის ძირითად თანხას, იმ მომენტისათვის დარიცხულ სარგებელს, არსებობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს და ამ ხელშეკრულების ძირითად პირობებში (ხელშეკრულების თავსართი) და 3.9 პუნქტით გათვალისწინებულ სესხის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიოს (არსებობის შემთხვევაში).

5.11 კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხით არ მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა ავტომატურად.

5.12 მსესხებლის და/ან თავდების მიერ, ამ ხელშეკრულებაზე თანდართული სესხის დაფარვის გრაფიკით დაფიქსირებულ ყოველთვიურად გადასხდელ თარიღზე ადრე თანხის შეტანის შემთხვევაში და/ან სესხის დაფარვის გრაფიკით დაფიქსირებულ ყოველთვიურად გადასხდელ თანხაზე მეტის შეტანის შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია სესხის დაფარვის მიზნით წინსწრებით ჩამოაწიროს გადახდილი თანხა მსესხებელთან და/ან თავდებთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, საიდანაც პირველ რიგში იფარება (არსებობის შემთხვევაში) პირგასამტეხლო, შემდეგ პროცენტი და ბოლოს სესხის ძირი.

5.13 მსესხებლის და/ან თავდების მიერ თანხის წინსწრებით შემოტანის შემთხვევაში, თუ შემომტანის მიერ მაშინვე არ მოხდა შემოტანილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა წერილობითი ფორმით, კრედიტორი იმავე დღეს მოახდენს ამ თანხის მოცულობის სესხის წინსწრებით დაფარვას. 5.10 პუნქტის შესაბამისად.

5.14 იმ შემთხვევაში, თუ წინსწრებით თანხის შემომტანი პირი წერილობით მოითხოვს წინსწრებით შემოტანილი თანხის უკან დაბრუნებას მის ჩამოწერამდე, გადარიცხვასთან დაკავშირებული ხარჯები ჩამოიჭრება ამ თანხიდან.

5.15 სესხის დაფარვის თარიღამდე თანხის წინსწრებით ჩამოწერის შემთხვევაში, მსესხებელს რჩება ვალდებულება გრაფიკით განსაზღვრულ გადახდის რიცხვში (თარიღში) შეავსოს პროცენტის თანხა რომელიც დაერიცხება წინსწრებით დაფარვის თარიღის შემდგომ დღეებზე გრაფიკით განსაზღვრულ გადახდის თარიღამდე.

5.16 მსესხებელი ვალდებულია სესხი დააბრუნოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. გადაიხადოს დარიცხული საპროცენტო სარგებელი/საკომისიო/პირგასამტეხლო და შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები მთელი მოცულობით. მისთვის მიყენებული ზიანი, მის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით მისთვის მიუღებელი შემოსავლი, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლო/საარბიტრაჟო ხარჯებისათვის, სააღსრულებლო ხარჯები და ამ ხელშეკრულებით მის მიერ შეუსრულებელი ყოველი ვალდებულებით წარმოშობილი დავალიანება.

6. პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე:

6.1 კრედიტორი უფლებამოსილია მსესხებელ(ებ)ს და/ან თავდებ(ებ)ს გადაახდევინოს პირგასამტეხლო (სრულად/ნაწილობრივ/ან სრულად აპატიოს) ამ ხელშეკრულების ძირითად პირობებში (ხელშეკრულების თავსართი) და 3.10 პუნქტში მითითებული ოდენობითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ ხელშეკრულებაზე თანდართული სესხის დაფარვის გრაფიკით დადგენილი ვადების დარღვევის და/ან ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კრედიტის და/ან პროცენტის დაფარვის ვადაგადაცილებად არ

ჩაითვლება თუ გადახდის დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, აღნიშნული გადახდა მოხდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. კრედიტის უზრუნველყოფა

7.1 ეს ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტი უზრუნველყოფილია თავდებობით.

7.2 თავდები ხელმოწერით ადასტურებთ, რომ თქვენთვის ცნობილია, რომ თქვენი პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხის ფარგლებში, რომელიც ამ ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს -----ლარს (არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარიცხული საჯარიმო სანქციები და სხვა ხარჯები) მსესხებლის მიერ კრედიტის გადაუხდელობის და მისი უშედეგოდ გაფრთხილების შემთხვევაში, ან/და როცა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა კრედიტორს შეუძლია მოგთხოვოთ ვალდებულების დაფარვა, მსესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე.

8. მისოში პრეტენზიის წარდგენის წესი:

8.1 მსესხებელ(ებ)ი და/ან თავდებ(ებ)ი უფლებამოსილი არიან მისოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით წარუდგინონ პრეტენზია შპს მისო კრედიტში ოფის-მენეჯერებთან ან იურისტებთან, რომლებიც შემდგომ გადაეცემა პრეტენზიების განმხილველ საბჭოს განსახილველად ზეპირი, წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი (მოთხოვნის შემთხვევაში სტანდანდარტული წერილობითი ფორმა გადაეცემა მომხმარებელს) ფორმით შპს მისო კრედიტის სერვისცენტრებში შემდეგ მისამართებზე: თბილისი, ჭაბუკიანი ს. ქ. #7; თბილისი, ხიზანიშვილის ქ. #14; ან ელექტრონული ფორმით შემდეგ ელ მისამართზე: info@credex.com.ge ასეთ შემთხვევაში მისო ვალდებულია პრეტენზიის მიღებისა და მისი იდენტიფიკაციიდან 1 (ერთი) თვის ვადაში პრეტენზიის განმცხადებელს (გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევისა) წერილობითი ფორმით აცნობოს საკითხის შესწავლის შედეგები და შესთავაზოს პრეტენზიის გადაწყვეტის შესაძლო პირობები.

8.2 პრეტენზიის წარმდგენი ვალდებულია პრეტენზიის შესწავლის შედეგები მიიღოს მისოში პრეტენზიის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვეში.

9. თავდებობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თავდებ(ებ)ი იღებს სოლიდარულ პასუხისმგებლობას მისოსა და მსესხებელს შორის ამ ხელშეკრულებით და ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული სხვა დამატებითი/აქსესორული ხელშეკრულებებით/შეთანხმებებით/განცხადებებით, კრედიტორის წინაშე ნაკისრი ფულადი ვალდებულებების სრულად შესრულებაზე.

9.2 ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული სხვა დამატებითი/აქსესორული ხელშეკრულებები/შეთანხმებები/განცხადებები, ასევე სესხის რესტრუქტურისა არ საჭიროებენ დამატებით თავდების ხელმოწერას, ასევე არ საჭიროებენ სანოტარო წესით დამოწმებას, ვინაიდან ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თავდები აცხადებს თანხმობას ამავე ხელშეკრულების ვადისა და პირობების ფარგლებში იკისროს სოლიდარული პასუხისმგებლობა მსესხებელთან ერთად კრედიტორის (მისოს) წინაშე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულებით თავდებ(ებ)ის მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის ფულადი ოდენობა ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებში (ხელშეკრულების თავსართი) და კრედიტის ძირითად პირობებში დაფიქსირებული ფულადი ვალდებულების ოდენობა კრედიტორის წინაშე, კერძოდ თავდები პასუხს აგებს მსესხებლის მიერ მიღებული ძირითადი ვალისათვის, მსესხებლის მიერ გადასახდელი პროცენტისათვის, საკომისიოებისათვის, პირგასამტეხლოსათვის, მისოსთვის მიყენებული ზიანისათვის, მიუღებელი შემოსავლისათვის, ასევე ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლო/საარბიტრაჟო ხარჯებისათვის, სააღსრულებლო ხარჯებისათვის და ამ ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ შეუსრულებელი ყოველი ვალდებულებისათვის.

9.4 თავდებ(ებ)ი კისრულობს სოლიდარულ პასუხისმგებლობას მსესხებელ(ებ)თან შეთანხმებით. ამასთან თავდები ადასტურებს, რომ არ მოქმედებს მსესხებელ(ებ)ის დავალებით და რომ მის მიერ თავდებად დადგომა არ განიხილება როგორც დავალებით სხვისი საქმეების შესრულება.

9.5.იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელ(ე)ი არ შეასრულებს ფულად ვალდებულებას კრედიტორის წინაშე, კრედიტორი (მისო) უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული ვალდებულების შესრულება თავდებ(ებ)ისაგან.

9.6.თავდებს შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადად მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა ან/და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. მხარეების განცხადებები, გარანტიები და ვალდებულებები

10.1 მსესხებელ(ებ)ი და თავდებ(ებ)ი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ :

10.1.1 გააჩნიათ წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის ხელშეკრულების, და/ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებების, შეთანხმებების/გარიგებების, განცხადებების ხელმოწერის, დადებისა და შესრულებისათვის საჭირო უფლება-უნარიანობა და ამ მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი ნებართვა და თანხმობა.

10.1.2 წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღისთვის მათ მიერ კრედიტორთან (მისოში) წარდგენილი ინფორმაცია არსებული ვალდებულებების შესახებ არის უტყუარი და ზუსტი.

10.1.3 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია მათ მიერ ნებაყოფლობით. კრედიტორის ან სხვა მესამე პირთა მხრიდან ძალადობის, მუქარის მოტყუების შეცდომაში შეყვანის და/ან რაიმე სხვა გარემოების ან ზემოქმედების გამოყენების გარეშე.

10.1.4 მათთვის ცნობილია, რომ კრედიტორისათვის სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობების მიწოდება კრედიტის მიღების, ან მისი ოდენობის გაზრდის, და/ან შეღავათიანი კრედიტის მიღების მიზნით, აგრეთვე მიზნობრივი კრედიტის არადანიშნულებისამებრ გამოყენება წარმოადგენს საკმარის საფუძველს წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ნებისმიერი ნაწილის დასარღვევად, შესაწყვეტად, მოსაშლელად, შესაჩერებლად და/ან გასაუქმებლად და ასევე იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად დასჯად ქმედებას.

10.1.5 მსესხებელი ვალდებულია სესხის მიღებიდან 5 სამუშაო დღეში წარმოადგინოს ამ ხელშეკრულების 3.12 პუნქტში მითითებული მიზნობრიობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მისო უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს სესხის/ან სესხის ნაწილის სრულად დაბრუნება მისოს მიერ მითითებულ ვადებში ასევე არ მოახდინოს სესხის მომდევნო ტრანშების გაცემა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

10.1.6 კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე მსესხებელ(ებ)ი და თავდებ(ებ)ი ვალდებული არიან:

10.1.7 დროულად მიაწოდონ კრედიტორს (მისოს), ნებისმიერი ანგარიში ან დოკუმენტაცია მისი ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების შესახებ (საგადასახადო ანგარიშების ჩათვლით). აღნიშნული ინფორმაცია და დოკუმენტები მიწოდებული უნდა იქნეს კრედიტორის მოთხოვნისთანავე მისთვისვე მისაღები ფორმით.

10.1.8 დაუშვას მისოს თანამშრომლები საწარმოში, მაღაზიაში, სავაჭრო ფართში, ოფისში ან მისი საქმიანობის სხვა ტერიტორიაზე და მიაწოდოს მას ზემოთხსენებული ინფორმაცია.

10.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კრედიტორი (მისო) უფლებამოსილია აკონტროლოს კრედიტის მიზნობრიობა და უზრუნველყოფის საგნების (არსებობის შემთხვევაში) მდგომარეობა. მსესხებელი ვალდებულია კრედიტორის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს ბანკის ამონაწერები ყველა საბანკო ანგარიშებიდან რომელიც გახსნილი აქვს რეზიდენტ თუ არარეზიდენტ ბანკებში და სხვა ინფორმაცია.

10.3 მხარეები აცნობიერებენ და ხვდებიან, რომ კრედიტორ (მისო) წინამდებარე ხელშეკრულებას დებს ზემოთ მოცემულ განცხადებებსა, გარანტიებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით და თვლის მათ ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიებისა და ვალდებულებების დარღვევა საკმარისი საფუძველია კრედიტორის (მისოს) მიერ ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი მომსახურების გაწევაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კრედიტის გაცემას) ცალმხრივი უარის სათქმელად. ასეთ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია კრედიტორის (მისოს) მიერ მითითებულ ვადაში დააბრუნოს ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი თანხა მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის და დაკისრების შემთხვევაში პირგასამტეხლოს თანხების ჩათვლით (არსებობის შემთხვევაში კრედიტორის მიერ გაწეული ნებისმიერი ხარჯი).

10.4 თავდებ(ებ)ი აცხადებს და იღებს ვალდებულებას, რომ:

10.4.1 იგი მსესხებელთან ერთად სოლიდარულად არის პასუხისმგებელი კრედიტორის წინაშე, იმავე მოცულობით ნაკისრი ვალდებულებისათვის, რა მოცულობის ვალდებულებაც გააჩნია მსესხებელ(ებ)ს კრედიტორის წინაშე. მათ შორის მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ძირითადი ვალის, საჯარიმო სანქციების და კრედიტორის (მისოს) მიერ გაწეული ხარჯების (სააღსრულებლო, სასმართლო/საარბიტრაჟო და ა.შ) ჩათვლით;

10.4.2 თავდებ(ებ)ი თანახმაა და იღებს ვალდებულებას, რომ კრედიტორის მიერ დავალიანების დაფარვის მოთხოვნის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებულ ვადაშივე და ოდენობით დაფაროს მსესხებლის დავალიანება კრედიტორის წინაშე.

10.4.3 თავდებ(ებ)ი თანახმაა, რომ მსესხებლის მიერ კრედიტორის წინაშე ნაკისრი ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორმა იძულებითი აღსრულება მიმართოს თავდების იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კრედიტორი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, იძულებითი აღსრულება პირველ რიგში მიაქციოს თავდების სხვა ქონებაზე.

10.4.4 თავდებ(ებ)ი თანახმაა და იღებს ვალდებულებას დაფაროს მსესხებლის დავალიანება კრედიტორის წინაშე ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, მათ შორის იმის მიუხედავად ჰქონდა თუ არა ადგილი იძულებითი აღსრულების მცდელობას მსესხებლის მიმართ.

10.4.5 თავდები აცნობიერებს, რომ მისთვის ცნობილია ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და იქ განსაზღვრული პირობები, რის საფუძველზეც სრულად აცნობიერებს და ეთანხმება თავის ვალდებულებას კრედიტორის (მისოს) წინაშე.

10.5 თავდებობის შეწყვეტა:

10.5.1 წინამდებარე თავდებობა შეწყდება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ ან მხარეთა შეთანხმებით.

11. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისა და სათანადო წესით დამოწმების თანავე და მოქმედებს მხარეთა შორის წარმოშობილი უფლება-მოვალეობების სრულ ამოწურვამდე.

12. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მოშლა ან გაუქმება:

12.1 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა, მოშლა ან გაუქმება დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძველებით:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

ბ) მსესხებელ(ებ)ის და თავდების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც საფრთხეს უქმნის ან საეჭვოს ხდის ამგვარი დამრღვევი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შემდგომ შესრულებას.

გ) თუ მსესხებელ(ებ)ი დაარღვევს ხელშეკრულებით შეთანხმებული კრედიტის მიზნობრიობას.

დ) თუ მოხდება სესხის გადახდის გრაფიკით დადგენილი სესხის გადახდის ვადების დარღვევა.

ე) თუ მსესხებელი და თავდები ვერ შეასრულებენ ან ვერ დაიცავს ამ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე დადებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებით/შეთანხმებით/განცხადებით ნაკისრ ნებისმიერ ვალდებულებას.

თ) მსესხებლის მოქმედება მიმართულია მისოს მოტყუებისაკენ ან აყენებს მას ზიანს.

ი) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება: ა) მისოს მიერ მსესხებლისათვის და თავდებისათვის გაგზავნილ შეტყობინებაში (წერილობითი/სატელეფონო/ელ. შეტყობინება და ხელშეკრულებით დადგენილი შეტყობინების ნებისმიერი ფორმით) მითითებულ ვადებში, ვალდებულების შეუსრულებლობის თანავე. ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნოტარიუსის სააღსრულებლო ფურცლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოწერის თანავე; გ) საქმის სააღსრულებლო წარმოების დაწყების (მათ შორის გამარტივებული წარმოება) თანავე. დ) საქმის სასამართლოსათვის (არბიტრაჟისათვის) გადაცემის თანავე. დ) ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.3 ზემოთ აღწერილი ნებისმიერ დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე: ა) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება მსესხებლისათვის/თავდებისთვის წინასწარ ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული კომუნიკაციის საშუალებებით შეტყობინების მიწოდების მეშვეობით და მოსთხოვოს მათ კრედიტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გადახდა კრედიტორის მიერ მითითებულ გონივრულ

ვადაში, რაც არ ნიშნავს კრედიტორისათვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული ან მისი დარღვევით წარმოშობილი უფლებების გაუქმებას და/ან შელახვას. ბ) უაქცეპტოდ (თანხმობის გარეშე) გადაიყვანოს მსესხებელ(ებ)ი/თავდები გამკაცრებული მონიტორინგის რეჟიმში, რაც გულისხმობს კრედიტორის (მისოს) სრულ უფლებამოსილებას მიაგლინოს მისი წარმომადგენელი მსესხებელთან/თავდებთან რათა რეალური შემოსავლების მონიტორინგის საფუძველზე უშუალოდ მსესხებელ(ებ)ისაგან/თავდებისაგან (მათ შორის მისი სალაროდან) მიიღოს კუთვნილი თანხები ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ. ასეთ შემთხვევაში მსესხებელი/თავდები ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისოს წარმომადგენლის დაშვება მის საკუთრებაში არსებული ქონების შესამოწმებლად და/ან მათი ფინანსური მდგომარეობის შესასწავლად.

12.4 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემდგომ პერიოდზე (იმ მომენტისათვის არსებული ფულადი ვალდებულების სრულ დაფარვამდე) სასესხო ვალდებულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი და პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა ეს არ ათავისუფლებს მოვალეებს მისოს მიმართ მიყენებული მიუღებელი შემოსავლის გადახდის ვალდებულებისაგან.

12.5 მსესხებელ(ებ)ისთვის/თავდებ(ებ)ისთვის კრედიტორის მიერ ვალდებულებების ვადამდელი შესრულების მოთხოვნისას, თუ მოთხოვნაშივე მითითებულ ვადაში და მოცულობით არ შესრულდება ეს მოთხოვნა, კრედიტორი უფლებამოსილია წამოიწყოს სააღსრულებო საქმის წარმოება და იძულებითი აღსრულების მიქცევა მსესხებელ(ებ)ი/თავდებ(ებ)ის საკუთრებაში არსებულ უძრავ/მოდრავ ქონებაზე.

12.6 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მსესხებელ(ებ)ი/თავდებ(ებ)ი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ყველა ფინანსური ვალდებულება ძირითადი თანხის, მასზე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანებისა და კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯის (სააღსრულებლო, სასამართლო, საარბიტრაჟო და ა.შ) ჩათვლით მისოს წინაშე.

13. განსაკუთრებული პირობები

13.1 ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელ(ებ)ი და თავდებ(ებ)ი თანხმობას ვაცხადებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიქსმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, სესხის უზრუნველყოფის და სესხის გაცემის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს, ორგანიზაციისთვის აუცილებელი, ჩვენი პერსონალური მონაცემები ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

13.2 მსესხებელ(ებ)ი და თავდებ(ებ)ი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ვაცხადებ(თ) თანხმობას და ვანიჭებ(თ) კრედიტორს (მისოს) უპირობო უფლებამოსილებას, მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად, ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, ჩემი (ჩვენი) დამატებითი თანხმობის გარეშე განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი უფლებამოსილებები, კერძოდ:

ა) ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელ(ებ)ი და თავდებ(ებ)ი თანხმობას ვაცხადებ, რომ შპს მისო კრედიქსმა კანონმდებლობით დადგენილი წესით (1) ჩემი იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის (2) ფინანსური მომსახურების მიღების (3) საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებების გამოგზავნის (4) განხორციელებული ფინანსური ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და და ამ მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.

ბ) მისომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან ან/და სხვა მსგავსი უფლებამოსილების მქონე კომერციული და არაკომერციული იურიდიული/კერძო პირებისაგან. სუბიექტთან დაკავშირებული ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისაგან და ა.შ მიიღოს ინფორმაცია მსესხებელ(ებ)ის და თავდებ(ებ)ის პერსონალური მონაცემების შესახებ; ასევე მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსაგან (შემდგომში “კრედიტინფო”) და გაეცნოს მსესხებელ(ებ)ის და თავდებ(ებ)ის შესახებ ბიუროს მონაცემთა ბაზაში აღრიცხულ ინფორმაციას ბიუროსთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;

გ) მისომ, მის ხელთ არსებული როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ინფორმაცია და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია საჭიროებისამებრ და დადგენილი პერიოდულობით გადასცეს ინვესტორებს, აუდიტორულ კომპანიებს და სხვა ორგანიზაციებს. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, სახელმწიფო

სერვისების განვითარების სააგენტოს ან/და სხვა მსგავსი უფლებამოსილების მქონე კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ/კერძო პირებს, ასევე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს (შემდგომში “კრედიტინფო”) „სუბიექტის“ პერსონალური მონაცემების შესახებ მისი შემდგომი დამუშავების მიზნით.

13.3 მსესხებელ(ებ)ი და თავდებ(ებ)ი გამოვხატავ (თ) რა ინტერესს კრედიტით სარგებლობის შესახებ, დამატებით ვადასტურებ(თ), რომ ჩვენი თანხმობა ძალაშია ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, და მოქმედებს ნებისმიერ დროს, ჩვენი დამატებითი თანხმობის გარეშე მის შეწყვეტამდე.

13.4 მსესხებელ(ებ)ი და თავდებ(ებ)ი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ ამ ხელშეკრულებას დებს თავისი საჭიროებისთვის, არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით, არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკი“) და ამ ხელშეკრულებაში აღწერილი გარიგება არ არის საეჭვო, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არ დადებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით და ქონება (მათ შორის, ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზეც დაიდო ან/და შესრულდება ეს გარიგება არ არის მოპოვებული/წარმოშობილი დანაშაულებრივი საქმიანობიდან;

14. კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილება

14.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების მსესხებელ(ებ)ის ან თავმდებ(ებ)ის მიერ დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია მიიღოს დაკმაყოფილება მსესხებელ(ებ)ის ან თავმდებ(ებ)ისაგან (და/ან ორივესაგან) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებით რომელიმე ვალდებულების მსესხებელ(ებ)ის ან თავმდებ(ებ)ის მიერ დროულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორი უფლება ექნება საკუთარი არჩევანით გამოიყენოს ქვემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათაგან ნებისმიერი:

14.2.1 აღსრულების მოთხოვნით მიმართოს სააღსრულებო ბიუროს აღსრულების გამარტივებული წარმოების მოთხოვნით. ამასთან, მსესხებელ(ებ)ი და თავმდებ(ებ)ი ამ ხელშეკრულების ხელმოწერით წინასწარ აცხადებ(ენ)ს თანხმობას და აღიარებ(ენ)ს აპლიკანტის მოთხოვნას.

14.2.2 მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ დადგა მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა (მათ შორის, ვადაზე ადრე) და მსესხებელ(ებ)ი და/ან თავმდებ(ებ)ი (მოვალე) და/ან ორივე ერთად ნებაყოფლობით არ ასრულებ(ენ)ს კრედიტორის მოთხოვნას, კრედიტორი უფლებამოსილია, მოთხოვნის დაკმაყოფილება უზრუნველყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

14.2.3 მხარეები ვადასტურებთ, რომ ნოტარიუსისაგან მივიღეთ ჯეროვანი განმარტება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი ინსტიტუტის (მისი არსისა და ძირითადი პრინციპების) შესახებ და ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი შეცვლის სასამართლოს სააღსრულებო ფურცელს. შესაბამისად, კრედიტორს უფლება ექნება სასამართლოსადმი მიმართვისა და სასამართლო საქმისწარმოების გარეშე მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, მიიღოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი და მოვალის (მსესხებელ(ებ)ი და/ან თავმდებ(ებ)ი (მოვალე) და/ან ორივე ერთად) მიმართ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების აღსრულების პროცესი დაიწყოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე, ხოლო მოვალ(ებ)ის(მსესხებელ(ებ)ი და/ან თავმდებ(ებ)ი (მოვალე) და/ან ორივე ერთად), ან მესამე პირის მიერ სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს სააღსრულებო ფურცლის მოქმედებას.

14.2.4 ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულებისას ყველა შემთხვევაში კრედიტორი ვალდებულია, უზრუნველყოს მოვალის ინტერესების დაცვა იმდენად, რამდენადაც ეს ხელს არ შეუშლის მოვალის მიმართ კრედიტორის მოთხოვნის სრულად და ჯეროვნად დაკმაყოფილებას; თუ მოვალის საკუთარებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური ქონება გაიყიდება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, გაყიდვით მიღებული თანხის ის ნაწილი, რომელიც აღემატება მოთხოვნის მოცულობისა და აღსრულების ხარჯების ჯამს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა გადაეცეს მესაკუთრეს (მოვალეს).

14.3 იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების შედეგად ამონაგები თანხა იქნება უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე ნაკლები, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ ამონაგები თანხის ტოლი ოდენობით. შესაბამისად, მისოს უფლება აქვს, მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებლობის მოთხოვნით გამოიყენოს, მოთხოვნის

სრულად დაკმაყოფილების კანონმდებლობით დადგენილი სხვა ზომები მოვალ(ებ)ის და/ან თავდებ(ებ)ის მიმართ და გადახდა მიაქციოს მათ საკუთრებაში არსებულ სხვა მატერიალურ და არამატერიალურ ქონებაზე.

15. უთანხმოებათა გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან/შეთანხმებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან წყდება მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ საქმის სასამართლოს მიერ განხილვის შემთხვევაში, პირველი ისტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონმდებლობის შესაბამისად მიქცეულ იქნას დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

16. სხვა პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება მისის ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება მხარეთა შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლებზე. კრედიტორთან (მისოსთან) წერილობითი შეთანხმების გარეშე მსესხებელ(ებ)ს და თავდებ(ებ)ს უფლება არა აქვს სხვას გადასცენ ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება.

16.2 მხარეები თანხმდებიან, რომ კრედიტორი უფლებამოსილია მსესხებელ(ებ)თან და თავდებ(ებ)თან შეთანხმების გარეშე, ამ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე დადებული სხვა დამატებითი ხელშეკრულებებით/საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მოთხოვნის უფლება დაუთმოს მესამე პირს.

16.3 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

16.4 ამ ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება, ასევე ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული სხვა დამატებითი/აქსესორული ხელშეკრულებები/შეთანხმები/განცხადებები/შეთანხმებები სესხის რესტრუქტურისა და შესახებ და ა.შ ძალაშია თუ შესრულებულია წერილობითი ფორმით. ისინი არ საჭიროებენ სანოტარო წესით დამოწმებას და წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

16.5 ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული სხვა დამატებითი/აქსესორული ხელშეკრულებები/შეთანხმები/განცხადებები, მათ შორის შეთანხმებების სესხის რესტრუქტურისა და შესახებ, არ საჭიროებენ დამატებით თავდების ხელმოწერას.

16.6 ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების ხარჯს იხდის მისო.

16.7 მხარეთა შეთანხმებით წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია მისოს მისამართი.

16.8 კრედიტორს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს მსესხებელ(ებ)ს/თავდებ(ებ)ს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი (კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით) წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართ(ებ)ზე ან მსესხებელ(ებ)ის/თავდებ(ებ)ის იმ მისამართ(ებ)ზე რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მსესხებელ(ებ)ის/თავდებ(ებ)ის მიერ განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მსესხებელ(ებ)ის/თავდებ(ებ)ის იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება მსესხებელ(ებ)ი/თავდებ(ებ)ისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა მისოს სახელით მისოს თანამშრომლის მიერ ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება მსესხებელ(ებ)ი/თავდებ(ებ)ისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინება მსესხებელ(ებ)ის/თავდებ(ებ)ის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:

- პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის მსესხებელ(ებ)/თავდებ(ებ)ისათვის ჩაბარების დღეს.
 - კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე-5 კალენდარულ დღეს, ან მსესხებელ(ებ)ისათვის/თავდებ(ებ)ისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
 - ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - მსესხებელ(ებ)ის/თავდებ(ებ)ის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან (მისამართიდან) მისოს მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს. მისოს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი მსესხებელ(ებ)ი/თავდებ(ებ)ზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მისოს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე მსესხებელ(ებ)ის/თავდებ(ებ)ის ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან მსესხებელი/თავდები უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან მისოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს მსესხებელ(ებ)ის/თავდებ(ებ)ის ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას. თუ მოხდა ამ ხელშეკრულებაში მითითებული მსესხებელ(ებ)ის რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება მისოს, შეტყობინება/დოკუმენტი მსესხებელ(ებ)ის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც.

17. იმ შემთხვევაში თუ თქვენ გადაწყვეტთ შპს მისო კრედექსში ამათუიმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ: შპს მისო კრედექსი არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. ბანკებისგან განსხვავებით თქვენი შენატანის დაკარგვის რისკის

შემცირებას ცდილობს მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტი. აღნიშნული გამჟღავნების ტექსტის მიზანია

გაცნობოთ, რომ ამ ფინანსურ ინსტიტუტში სახსრების განთავსებასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირების მიზნით ფინანსური ინსტიტუტის ფინანსური მდგომარეობის შახებ, ასევე ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაციის მოძიება თქვენი პასუხისმგებლობაა. ხელმოწერით თქვენ ადასტურებთ, რომ აცნობიერებთ შპს მისო კრედექსში სახსრების შესაძლო განთავსებასთან დაკავშირებულ რისკებს.

18. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ხელშეკრულების დამმოწმებელი ნოტარიუსის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

19. მხარეთა ხელმოწერები:

შპს მისო კრედექსის -----

მსესხებელი: -----

თავდები: -----

ნოტარიუსი: -----